

# საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი



ვამტკიცებ: -----  
სსსსუ-ს რექტორი  
სრული პროფესორი  
გელა ჯავახიშვილი

## მაგისტრატურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(სამეურნეო ვერსია)

**განხილულია:**

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № , 2008 წ.

**შეთანხმებულია:**

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო  
სამეურნეო უნივერსიტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურთან

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო  
სამეურნეო უნივერსიტეტის  
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან

## I. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების წესს;

1.2 მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის, მესამე დონე სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომ ეტაპზე სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას.

1.3 მაგისტრატურაში სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია, ხოლო სპეციალობის შეცვლისას სამი წელი.

## 2. მიზნები და ამოცანები

**მაგისტრატურაში სწავლის მიზანი და ამოცანებია:**

2.1 სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

2.2 სპეციალობის შეცვლა;

2.3 კვალიფიკაციის ამაღლება.

2.4 მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ თეორიული სწავლებისაგან; იგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებელ ჩატარებას, რომელთა შედეგებს შეუძლიათ არსებული ცოდნის საგრძნობი გაფართოება და რომელთა საფუძველზე მაგისტრანტი შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენას.

## 3. მაგისტრატურაში მიღების წესები

### 3.1 სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება

3.1.1. სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და უნივერსიტეტის არასაბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე.

3.1.2. მაგისტრატურაში სწავლება ფასიანია. საფასურის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო წლისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო ტარიფების შესაბამისად.

3.1.3. გარდამავალ პერიოდში მაგისტრატურაში ჩარიცხულ საუკეთესო შეფასების (91-100 ქულა) კონკურსანტთაგან 10% მიიღებს სრულ საუნივერსიტეტო დაფინანსებას.

### 3.2 კონკურსზე დაშვება

3.2.1 მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსზე დაიშვებიან უმაღლესი განათლების მქონე ბაკალავრები და ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების მქონე დიპლომირებული სპეციალისტები.

3.2.2 მაგისტრატურაში სწავლების უფლება აქვს ბაკალავრს და მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ფორმალური ცნობა (აღიარება) ხდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

3.2.3 მაგისტრატურის საკონკურსო გამოცდებზე კონკურსანტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დროულად გაიარა რეგისტრაცია მიმღებ კომისიაში და წარადგინა სათანადო საბუთები .

3.2.4 უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სათანადო საკონკურსო ადგილების დასაკავებლად ყველა კონკურსანტი აბარებს საკონკურსო გამოცდას: სპეციალობაში. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დამატებით ჩატარდეს უცხო ენისა და ინფორმატიკის გამოცდაც.

### 3.2.5 გამოცდის ჩატარების პირობები:

\* კონკურსანტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიიღოს კონსულტაციები სპეციალობაში წამყვან სპეციალისტებთან.

\* სპეციალობაში საკონკურსო გამოცდა ტარდება წერითი და ზეპირი სახით. საკონკურსო გამოცდაზე შეფასება ხდება 100-ბალიანი სისტემით.

\* გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას, ანუ მინიმუმ 51 ქულას.

\* სპეციალობაში გამოცდას ატარებს საკონკურსო-საფაკულტეტო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია მაგისტრატურაში მისაღებ საკონკურსო გამოცდის შეფასებათა სიზუსტეზე.

3.2.6 მაგისტრატურაში საკონკურსო გამოცდების შედეგების შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩაირიცხებიან ის კონკურსანტები, რომლებიც გამოცდებში მიიღებენ ყველაზე მაღალ ქულებს.

\* კონკურსანტები, რომლებიც სპეციალობაში მიიღებენ 51 ქულაზე ნაკლებს, მოიხსნებიან კონკურსიდან და არ ჩაირიცხებიან მაგისტრატურაში.

\* ჩარიცხული მაგისტრანტები სწავლის სემესტრულ საფასურს იხდიან რეგისტრაციის დროს.

## 4. საბუთები და მათი მიღება

მაგისტრატურაში სწავლის მსურველმა მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

1. პირადი განცხადება რექტორის სახელზე, სამაგისტრო პროგრამის მითითებით
2. უმაღლესი განათლების დიპლომი (დედანი) დანართითურთ და მათი შესაბამისი თითო ასლი;

4. სამი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3სმ X 4სმ;
5. მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
6. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი (სავალდებულოა ვაჟებისათვის).

კონკურსზე დაშვებული კონკურსანტები ვალდებული არიან, გამოცხადდნენ საკონკურსო გამოცდაზე დაუგვიანებლად და თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

## 5. მისაღები გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის პროცედურა

კონკურსის ჩატარების მიზნით იქმნება საფაკულტეტო დარგობრივი კომისია. თითოეული ფაკულტეტი წარმოადგენს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის შემადგენლობას, რომელთა საფუძველზეც დგება ერთიანი საუნივერსიტეტო დარგობრივი კომისია.

## 6. მაგისტრატურის სასწავლო პროცესი

- 6.1 სპეციალურ დისციპლინებში კონკრეტული სამაგისტრო პროგრამებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს განსაზღვრავენ შესაბამისი ფაკულტეტები და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
- 6.2 მაგისტრატურაში სწავლა დასწრებულია, სწავლების ფორმებია: ლექცია, სემინარი, ლაბორატორია, სწავლების ინდივიდუალური ფორმა, საგნობრივი რეფერატები და სხვა. სასწავლო გეგმებს საფუძვლად უდევს სამაგისტრო მომზადების საერთო საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო გეგმები, რაც მოცემული სპეციალობის ორივე საფეხურის გეგმების ერთობლიობაა. სამაგისტრო სწავლების სასწავლო გეგმას ადგენს მაპროფილებელი დეპარტამენტი ან დეპარტამენტთა ჯგუფი, იხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭოს დადებითი შეფასების შემდეგ ამტკიცებს რექტორი.
- 6.3 მაგისტრის სწავლების ინდივიდუალურ გეგმას ადგენს მაგისტრი ხელმძღვანელთან ერთად, იგი განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე და მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის მიერ. ინდივიდუალური გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი დეპარტამენტი და ხელმძღვანელი. მაგისტრის მომზადების გეგმა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე კვლევით დანაყოფებს. პირველი ითვალისწინებს ზოგად-საუნივერსიტეტო და სპეციალური დისციპლინების გადრმაგებულ შესწავლას, ხოლო მეორე მაგისტრის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში.
- 6.4 მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლიობა ორი ან სამი წელია.
- 6.5 მაგისტრატურის მომზადება შედგება 3 ბლოკისაგან: საუნივერსიტეტო დისციპლინათა, რომელშიც შედის შემდეგი საგნები: ფილოსოფია, პედაგოგიკა (ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებით), მენეჯმენტი, მარკეტინგი და საფინანსო საქმიანობა, უცხო ენა და კომპიუტერული ტექნიკა; საფაკულტეტო დისციპლინები, რომელშიც შედის:

მათემატიკური მოდელირების საფუძვლები;

სპეციალობის 5-7 საგანი;

გ) სპეციალიზაციის 3-5 საგანი;

შენიშვნა: სპეციალობის და სპეციალიზაციის საგნები ერთად არ უნდა აღემატებოდეს 10 საგანს.

- 6.6 დამოუკიდებელი მუშაობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტი მაგისტრანტის მიერ, როგორც სამეცნიერო ხასიათის ინდივიდუალურ, ასევე სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებას და უნდა აისახებოდეს საკურსო და სამაგისტრო ნაშრომებში. მაგისტრის მომზადების სასწავლო გეგმა 2 წლამდე განისაზღვრება. მაგისტრის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს გარკვეული რაოდენობის კრედიტები (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად 120 კრედიტი ანუ წელიწადში 60 კრედიტი

## 7. გამოცდების ჩატარების წესი

7.1 მაგისტრატურაში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება ტრანსფერისა და კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემის - „ ECTS “-მიხედვით; სემესტრის განმავლობაში თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა ფასდება ასქულიანი (100) სისტემით 91-100, A , ფრიადი; 81 90, B , ძალიან კარგი; 71-80, C, კარგი; 61-70, D , საშუალო; 51-60, E , დამაკმაყოფილებელი; 41-50, Fx, არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება; 0-40, F, სუსტი, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს მომდევნო სემესტრებში კურსი, რისთვისაც იხდის შესაბამის საფასურს.

7. 2 სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

1. დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაკაბიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება უმიზეზოდ;
  2. შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით.
  3. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. “შპარგალკა”) გამოყენება;
  4. აუდიტორიიდან გაძევება გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო;
  5. გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება;
- 7.3 დანიშნული გამოცდის საკაბიო მიზეზით გადავადდება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის მიერ განცხადების საფუძველზე, საკაბიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, გამოცდის ჩატარება უნდა განხორციელდეს მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- 7.4 გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია:
1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;
  2. 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასებისას სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე, არა უმეტეს ორი გამოცდისა, მომდევნო სემესტრების საგამოცდო სესიების დროს;
  3. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება სწავლის წლიური საფასურიდან საგნის წილის მიხედვით, განმეორებით მოისმინოს

სასწავლო კურსი დამატებით სემესტრში ან მომდევნო სემესტრში (არაუმეტეს ორი საგნისა);

4. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;
  5. ძირითად და დამატებით სასესიო პერიოდში გამოცდებზე გამოუცხადებლობის, ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია.
- 7.5 სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

## **8. გარიცხული (ამორიცხული) სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა**

- 8.1. გარიცხულ/ამორიცხულ სტუდენტს, რომელიც სსსსუ-ში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 8.2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელნიც ამორიცხნენ უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, პირადი განცხადების საფუძველზე აღდგენის უფლებით, აგრეთვე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზეზით, სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეთ მათი გარიცხვის დროისათვის უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

## **9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

### **9.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:**

1. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
2. აკადემიური შვებულება;
3. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

### **9.2 სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:**

1. უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით, არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
3. მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;
4. ოჯახური პირობების გამო (ავადმყოფი წევრების მეურვეობა, ორსულობა , ახალშობილთა მოვლა და სხვა) არაუმეტეს 2 სემესტრისა;

9.3 აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

## 10. მაგისტრატურაში სწავლების ფინანსური უზრუნველყოფა

- 10.1 საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლა, შესაბამისად მაგისტრის მომზადება ფასიანია და მისი სიდიდე განისაზღვრება სპეციალობების მიხედვით ფაკულტეტების მიერ, განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
- 10.2 უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის სასწავლო კონტრაქტის გაწვევების შემთხვევაში სწავლებისათვის გადახდილი საფასური სტუდენტს უკან არ უბრუნდება.
- 10.3 აკადემიურ შევსებაში მყოფი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტში დადგენილი ტარიფით;
- 10.4 პირმა, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;
- 10.5 სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
- 10.6 ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება;

## 11. სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა

1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სრული ან ასოცირებული პროფესორი, ან მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე. უნივერსიტეტის შიგნით სამაგისტრო შრომების ხელმძღვანელის მოწვევა სავალდებულო არ არის.
2. სამაგისტრო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს..
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამის მომზადების ინსტრუქციასთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს სსსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სადაო საკითხებს წყვეტს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
5. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამები გადაეცემა სსსსუ საინფორმაციო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას სსსსუ ვებ-გვერდზე.

6. პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებამდე, თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატურად უნდა მოხდეს სამაგისტრო პროგრამების შეფასება და სრულყოფა.

7. უნივერსიტეტისა და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება სამაგისტრო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის განხორციელება, შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს წინაშე (სემესტრში ან წელიწადში ერთხელ).

## 12 მოთხოვნები მაგისტრისადმი

**მაგისტრს მოეთხოვება:**

**ა) შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა.**

მაგისტრს უნდა გააჩნდეს დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში. მაგისტრი უნდა აცნობიერებდეს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეეძლოს მათი გადაჭრა, მაგისტრი სრულად უნდა ფლობდეს დარგისათვის კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს.

**ბ) დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.**

მაგისტრს უნდა შეეძლოს კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; შეეძლოს ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე; შეუძლია რთულ და მოულოდნელ, სპეციალიზებულ კონტექსტში მოქმედება; იცნობდეს საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების წესებს. ფლობდეს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობდეს ზუსტად და ეფექტურად; შეეძლოს უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების განვითარება ახალი სიტუაციებისათვის. ეძებდეს ამოცანების გადაწყვეტის ახალ ორიგინალურ გზებს.

**გ) ანალიზისა და სინთეზის უნარი.**

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და /ან წინააღმდეგობრივი მონაცემების / სფეროების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება. შეუძლია კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით.

**დ) პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.**

შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსის გამოყენება.

**ე) დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.**

დამოუკიდებლად გეგმავდეს და ახორციელებდეს სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

**ვ) კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენაზე.**

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია. უცხო ენის ცოდნის C1 დონე.

**ზ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.**

იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

**თ) სოციალური უნარები**

ჯგუფური მუშაობის უნარი- შეუძლია ჯგუფში მუშაობა როგორც წევრის ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

**ი) სისტემური უნარები**

სწავლის უნარი- იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს, კვლევის უნარი- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

პროექტის შემუშავების უნარი- შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა.

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი – არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს: შეუძლია სხვების სწავლის გაძღოლა; იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.

**13 კვალიფიკაციის მინიჭება**

- 13.1 მაგისტრის საკვალიფიკაციო (სადიპლომო) ნაშრომი (იხ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია) წარმოადგენს საუნივერსიტეტო მოთხოვნათა მიხედვით შესრულებული სამუშაოების წერილობით აღწერას; იგი უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს ჩაატაროს სამეცნირო კვლევითი, საპროექტო ან სხვა სახის სამუშაოები მაღალ (ინოვაციურ) დონეზე. საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა გამოამჟღავნოს მოსხენების მომზადების და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი;
- 13.2 მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მსმენელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შესაბამის (სამაგისტრო ან სხვა სახის) კონფერენციებში; გამოაქვეყნოს სავალდებულო რეფერატული ან ბეჭდვითი ხასიათის სტატია უნივერსიტეტის მაგისტრანტთა ან სხვა კრებულში, ჟურნალში, საკვალიფიკაციო თემის თემატიკიდან;
- 13.3 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიაზე, რომლის შემადგენლობაში შევლენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები;
- 13.4 მაგისტრანტებს, რომლებმაც შეასრულეს სამაგისტრო მომზადების ინდივიდუალური გეგმა და წარმატებით დაიცვეს საკვალიფიკაციო ნაშრომი, ენიჭებათ მაგისტრის (სპეციალობის მიხედვით) აკადემიური ხარისხი და მათზე გაიცემა სათანადო დიპლომი;
- 13.5 სამაგისტრო ნაშრომის თემა კვლევითი ხასიათისაა, რომელზეც მუშაობა იწყება მაგისტრატურაში ჩარიცხვისთანავე. სწავლების პირველი წლის ბოლოს მაგისტრანტი იცავს თემის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკურსო ნაშრომს, ხოლო თეორიული სწავლების დამთავრების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ან კომპიუტერზე ნაბეჭდ 100 გვერდს;

- 13.6 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს საჯაროდ, რომელსაც ესწრებიან კომისიის წევრები, ხელმძღვანელი და რეცენზენტი (შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტი მონათესავე დეპარტამენტიდან ან ორგანიზაციიდან); ნაშრომი (დაცვამდე არაუგვიანეს ორი კვირისა) წინასწარ უნდა იყოს განხილული დეპარტამენტის სხდომაზე, რომლის შეამდგომლობა აუცილებელია ნაშრომის საჯარო დაცვისათვის;
- 13.7 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობას სპეციალობაში ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს რექტორი;
- 13.8 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია ანიჭებს მაგისტრატურის კურსდამთავრებულს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს მოცემულ სპეციალობაში, განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ფორმდება რექტორის ბრძანებით.

#### 14 მაგისტრის დასაქმების სფერო

მაგისტრის დასაქმების სფეროა სასოფლო-სამეურნეო დარგის უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, შესაბამისი დარგის სამინისტროები და მასში შემავალი სტრუქტურები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და საწარმოები, რომლებსაც საქმიანობისათვის სჭირდებათ აგრარულ სფეროში პროფესიული ცოდნა. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში. საქართველოს კანონით საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესაბამისად ორგანიზაციებში მათთვის განსაზღვრულია თანამდებობრივი დასაქმების სფეროები.